ნასყიდობის ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) ხელმოწერილია ქ. თბილისში, 2016 წლის 25 ნოემბერს

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, **შპს „ჯეოსელი“** შემდგომში „გამყიდველი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაველ სმალინსკის მიერ, მოქმედი წესდების საფუძველზე,
და
მეორეს მხრივ, **შპს „----------“** შემდგომში „მყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის [----------] მიერ, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე,

შემდგომში ცალ-ცალკე წოდებულნი როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად როგორც „მხარეები“, თანხმდებიან შემდეგზე:

განმარტებები:

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამონათქვამები განიმარტება შემდეგი მნიშვნელობით:

საქონელი - სპილენძის (1-1,5 მეტრებად) დაჭრილი ფიდერ კაბელი. 1 (ერთი) გრძივ მეტრ კაბელში დაახლოებით 160 გრამი სპილენძი. სულ ჯამში დაახლოებით 92000 (ოთხმოცდათორმეტი ათასი) მეტრი ფიდერ კაბელი.

მიღება-ჩაბარების აქტი - მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ორმხრივად ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ გამყიდველმა დადგენილი წესით გადასცა და მყიდველმა გაიტანა „საქონელი“ მისი მიწოდების/განთავსების ადგილიდან. ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება „საქონლის“ ზუსტი რაოდენობა/სიგრძე და შესაბამისად ღირებულება.

მიწოდების დღე - გულისხმობს მყიდველისათვის „საქონლის“ მიწოდების დღეს.

განთავსების/მიწოდების ადგილი - საქართველო, ქ. თბილისი, „ჯეოსელის“ საწყობი მდებარე: [მისამართი],

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ყიდის და გადასცემს მყიდველს, ხოლო მყიდველი ყიდულობს და მიიღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს და უზრუნველყოფს თანხის გადახდას, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

2. მიწოდების პირობები

2.1. გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს და გადასცეს მყიდველს საქონელი მიწოდების ადგილზე.

2.2. მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული “საქონლის” სრულად გატანა მისი განთავსების/მიწოდების ადგილიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა. ამასთანავე, მხარები თანხმდებიან, რომ მყიდველი უფლებამოსილია გაიტანოს „საქონელი“ ეტაპობრივად, შესაბამისად მხარეები უფლებამოსილნი არიან შეადგინონ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი.

2.3. მიუხედავად ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული „საქონლის“ რაოდენობისა (იხ. „საქონელის“ განმარტება), მხარეები აცხადებენ რომ აღნიშნული რაოდენობა/სიგრძე ეყრდნობა მხოლოდ გამყიდველის ვარაუდს და „საქონელის“ ზუსტი რაოდენობა მხარეებისათვის არ არის ცნობილი, შესაბამისად „საქონელის“ შემოწმება და ზუსტი რაოდენობის/სიგრძის და მასში სპილენძის შემცველობის დადგენა განხორციელდება მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით ამ მუხლის 2.2. პუნქტით დადგენილ ვადაში. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, საქონლის შემოწმება და

რაოდენობის/სიგრძის დადგენა განხორციელდება მხოლოდ გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები შეადგენენ შესაბამის (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში შუალედურ) მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს, სადაც განისაზღვრება შემოწმებული „საქონელის“ ზუსტი რაოდენობა/სიგრძე.

2.4. მყიდველზე საქონლის განადგურების ან დაზიანების რისკი გადადის მიღება-ჩაბარების აქტის (მათ შორის შუალედური) ორმხრივად ხელმოწერის შემდგომ.

3. საქონლის ფასი და გადახდის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მიწოდებული „საქონლის“ ღირებულება დადგინდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, მას შემდეგ რაც მყიდველი სრულად და ჯეროვნად შეასრულებს მის მიერ ამ ხელშეკრულების 2.2. და 2.3. პუნქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ 1 (ერთი) კილოგრამი სპილენძის ფასი შეადგენს [-] ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. “საქონლის“ ღირებულების გადახდა (შემდგომში „ანაზღაურება“) განხორციელდება ლარში, გამყიდველის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, წინამდებარე „ხელშეკრულების“ 3.1. პუნქტის შესაბამისად „საქონლის“ ღირებულების დადგენიდან და მხარეთა მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ თანახმად, „საქონელის“ ტრანსპორტირებას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მყიდველი.

3.4. გადახდის ვალდებულება შესრულებულად ითვლება გამყიდველის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვის დღიდან.

3.5. მყიდველი გადაიხდის მყიდველის მომსახურე ბანკის ხარჯებს, ხოლო გამყიდველი გადაიხდის გამყიდველის მომსახურე ბანკის ხარჯებს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველისგან მოითხოვოს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის 0.03%-ის (ნოლი მთელი სამი მეასედი პროცენტი) ოდენობით.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველისათვის შეწყვეტამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე.

5.2. ხელშეკრულების ერთე-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც დამრღვევ მხარეს წერილობითი შეტყობინებით უნდა განუსაზღვროს 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. თუ მხარე ვერ შეძლებს დარღვევის აღმოფხვრას მისი გამოსწორებისათვის განსაზღვრულ ვადაში, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება ავტომატურად.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტით წყდება მხარეთა შორის არსებული ყველა ვალდებულება, მაგრამ მხარეები არ თავისუფლდებიან:

(I) თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშვა ან წარმოიშობა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ;
(II) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება რომელიც წარმოიშობა შეწყვეტის შემდგომ ან რომელიც დაკავშირებულია ან გამოწვეულია ხელშეკრულების შეწყვეტით ან რომელიც აგრძელებს მოქმედებას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ და რომელთა წინასწარ გათვალისწინება და აღკვეთა შეუძლებელი იყო მხარეთა მიერ. ასეთი გარემოებებია მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, მთავრობის

აქტები, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე და სხვა., რომელიც შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

6.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედება გაგრძელდება 3 (სამი) თვეზე მეტი ვადით, თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

7. **შეტყობინებები**

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს ელ. ფოსტის, ფაქსის ან წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე.

7.2. თითოეული მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მონაცემების, რეკვიზიტების, მისამართის ცვლილების შესახებ მათი განხორციელებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში მითითებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მეორე მხარის მიერ შესრულებული ყველა მოქმედება ჩაითვლება სათანადოდ განხორციელებულად.

8. **დავის გადაწყვეტის წესი**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ დავის მოგვარებას მოლაპარაკებების გზით, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9. **დასკვნითი დებულებები**

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ორივე მხრიდან ხელმოწერიდან და ძალაშია მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა შეთანხმდეს მხარეთა მიერ და გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ყველა ცვლილება და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2 (ორი) ორიგინალ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების 1 (ერთი) ორიგინალი.

10. **მხარეთა რეკვიზიტები:**

მყიდველი:
შპს [----------]
მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი:
ფილიალის კოდი:
ა/ა:
მყიდველის სახელით

დირექტორი

გამყიდველი:
შპს „ჯეოსელი“
მისამართი: გოთუას ქ#3, მტკვრის მარჯვენა სანაპირო

საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა **GE64VT6600000444467944**

გამყიდველის სახელით

პაველ სმალინსკი
გენერალური დირექტორი

ტომას ტენდზეგოლკსის
ფინანსური დირექტორი

იაღმურ კურჩ
ცენტრალიზებული შესყიდვების დირექტორი